წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. წყალტუბო

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016373; 01/11/2016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ" ქვეპუნქტი.

,,დ) ამხანაგობის მიერ შერჩეული, მომსახურე ორგანიზაციის/მეწარმე სუბიექტის მიერ მომზადებული შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დედანი და ელექტრონული

ვერსია, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში არქიტექტურული პროექტი.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია;

ბ) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა;

გ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია;

დ) მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება;

ე) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია;

ვ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა;

ზ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, აღრიცხავს, განიხილავს ამხანაგობის მიერ შემოტანილ განცხადებას შესაბამის ხარჯთაღრიცხვასთან ერთად და ამოწმებს მის შესაბამისობას ამ წესით დადგენილ პირობებთან. სამსახური ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 -ის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ 1. ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ით და დანართი №3-ით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობისაგან განსხვავებული დაფინანსების, მერიის მიერ მეტი წილის ან სრულად დაფინანსების შემთხვევაში განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი კომისია, თუ შეფასების შედეგად დადგინდება, რომ საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რომელიმე კომპონენტი არის ავარიული და საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.“

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №2

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა				
№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	90/10	90	10
2	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა			
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია			
4	მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება			
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	60/40	60	40
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა			
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია			

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №3

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობისათვის თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა				
№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	90/10	90	10
2	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა			
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია			
4	მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება			
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	60/40	60	40
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა			
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია			

მუხლი 2 .

ამ ცვლილების ამოქმედებამდე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში დარეგისტრირებულ განცხადებებსა და შესაბამის დოკუმენტაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას გავრცელდეს განცხადების შემოტანის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი